

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

კ ა ნ ო ნ ი

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში (გაზეთი „აჭარა“ №154, 17.08.05.) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. კანონის პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ეს კანონი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის, „სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, განსაზღვრავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების (შემდგომში – ქონება) მართვისა და განკარგვის უფლებით გადაცემის სამართლებრივ, ეკონომიკურ და ორგანიზაციულ საფუძვლებსა და ძირითად პირობებს. ამ კანონის მიზანია, უზრუნველყოს ისეთი ურთიერთობები, რომლებიც ხელს შეუწყობს ეფექტიანი საბაზრო ეკონომიკის განვითარებას.“.

2. პირველი მუხლის:

ა) პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) პრივატიზება – ფიზიკური ან იურიდიული პირების ან მათი გაერთიანებების მიერ ქონებაზე საკუთრების უფლების შეძენა კანონმდებლობით დადგენილი წესით;“.

ბ) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს – უზუფრუქტი, ქირავნობა, იჯარა, თხოვება, აუქციონი, პირდაპირი მიყიდვა, საწარმო, ფიზიკური პირი, იურიდიული პირი - აქვთ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მნიშვნელობა.“.

3. მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. აქციებისა და წილების სხვა სუბიექტებზე მართვის უფლებით გადაცემის თაობაზე მთავრობის თავმჯდომარის ან სამინისტროს მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 3 თვის ვადაში შესაბამის ხელშეკრულებას აქციების (წილების) მართვის უფლებით მიმღებთან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აფორმებს სამინისტრო. ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებული ხარჯები იფარება აქციების (წილების) მართვის უფლებით მიმღების მიერ. ხელშეკრულების ვადის გასვლის ან ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში გადაცემული აქციები (წილები), მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით, მართვის უფლებით უბრუნდება სამინისტროს, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.“.

4. მე-6 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 6. ქონება, რომელიც არ ექვემდებარება პრივატიზაციას. ქონების პრივატიზების პროცესის უზრუნველყოფა

1. პრივატიზებას არ ექვემდებარება „სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ქონება.

2. ქონების პრივატიზების შესახებ განაცხადის წარდგენის შემდეგ მყიდველის მიერ ქონებაზე საკუთრების უფლების შექმნამდე, სამინისტროს თანხმობის გარეშე შესაბამის იურდიულ პირებს ეკრძალებათ:

- ა) საწარმოს რეორგანიზება ან ლიკვიდაცია;
- ბ) საწარმოს ძირითადი ფონდების გაყიდვა;
- გ) საწარმოს ძირითადი ფონდების გაცვლა;
- დ) საწარმოს ძირითადი ფონდების ქირით ან იჯარით ან სარგებლობის სხვა ფორმით გადაცემა;
- ე) საწარმოს ძირითადი ფონდების დატვირთვა, მათ შორის დაგირავება;
- ვ) საწარმოს ძირითადი ფონდების გამოყენებაზე ადრე დადებული რაიმე ხელშეკრულების მოქმედების შეცვლა ან შეწყვეტა.“.

5. მე-7 მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ქონების პრივატიზება ხორციელდება აუქციონის და პირდაპირი მიყიდვის ფორმებით.“.

ბ) მე-2 პუნქტი ამოღებულ იქნეს;

გ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. აუქციონის ფორმით ქონების გაყიდვის მიზანია საკუთრების უფლება მიანიჭოს იმ მყიდველს, რომელიც ვაჭრობის პროცესში გამყიდველს ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებს, ხოლო თუ აუქციონი გამოცხადდება პირობებით - საკუთრების უფლება მიანიჭოს იმ მყიდველს, რომელიც აიღებს ვალდებულებას, დააკმაყოფილოს გამოცხადებული პირობები და ვაჭრობის პროცესში გამყიდველს ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებს. ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სამინისტრო.“.

დ) მე-4 და მე-5 პუნქტები ამოღებულ იქნეს;

ე) მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების მიზანია, საკუთრების უფლება გადაეცეს იმ მყიდველს, რომელიც სრულად და კეთილსინდისიერად შეასრულებს ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზებისათვის დადგენილ პირობებს, ხოლო თუ პირდაპირი მიყიდვა ხორციელდება კონკურენტული შერჩევის საფუძველზე – საკუთრების უფლება მიანიჭოს იმ დაინტერესებულ პირს (პოტენციურ ინვესტორს), რომელიც სრულად და კეთილსინდისიერად შეასრულებს ქონების კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზებისას დადგენილ პირობას (პირობებს). ქონების პირდაპირი მიყიდვისა და კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი მიყიდვის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს და შესაბამის პირობებს ადგენს მთავრობის თავმჯდომარე.“.

ვ) მე-7 პუნქტი ამოღებულ იქნეს;

ზ) მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. კანონმდებლობის შესაბამისად ქონების პრივატიზების ცალკეული ფორმებით გადაცემის დებულებებს, ამტკიცებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი (შემდგომში – მინისტრი).“.

6. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 7¹ მუხლი:

„მუხლი 7¹. ქონების პირდაპირი მიყიდვა კონკურენტული შერჩევის საფუძველზე

1. ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზება შეიძლება განხორციელდეს კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. ქონების კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი მიყიდვა ხორციელდება მთავრობის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით მთავრობის წარდგინების საფუძველზე, ხოლო საკითხს ამზადებს სამინისტრო.

3. ქონების კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი მიყიდვა ხორციელდება, თუ:

ა) არსებობს ინვესტიციების განხორციელების პირობათა სიმრავლე;

ბ) დაინტერესებულ პირთა მიერ შემოთავაზებული პირობები ალტერნატიულია.

4. ქონების კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი მიყიდვისათვის ამ მუხლით განსაზღვრული პროცედურები იწყება დაინტერესებული პირის მიერ ინტერესის გამოხატვით.

5. დაინტერესებულ პირთა წინადადებებს იხილავს მთავრობა იღებს გადაწყვეტილებას კონკურენტული შერჩევის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების გატარების თაობაზე.

6. კონკურენტული შერჩევის მიზნით მთავრობა ქონების და შესაბამისი პირობების შესახებ გადაწყვეტილებას აქვეყნებს საინფორმაციო საშუალებებში და განსაზღვრავს ინტერესთა გამოხატვის ვადას, რომელიც, როგორც წესი არ შეიძლება იყოს 1 თვეზე ნაკლები. თუ დაყოვნებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივ ინტერესებს, მთავრობის გადაწყვეტილებით შესაძლებელია ამ ვადის გონივრული შემცირება საჯაროობის სხვაგვარი უზრუნველყოფისა და პოტენციური ინვესტორების ინფორმირების პირობით.

7. მთავრობა ინტერესთა გამოხატვის ვადის დასრულების შემდეგ იხილავს შემოსულ განცხადებებს და მთავრობის თავმჯდომარეს წარუდგენს დასაბუთებულ წინადადებებს ქონების კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი მიყიდვის შესახებ. გადაწყვეტილებას ქონების პირდაპირი მიყიდვის შესახებ იღებს მთავრობის თავმჯდომარე.

8. კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი მიყიდვის შემთხვევაში ინტერესთა გამოხატვის ვადის დასრულებამდე ქონების პრივატიზების პირობების შესრულების უზრუნველსაყოფად დაინტერესებული პირი ვალდებულია, წარადგინოს საბანკო გარანტია ან შესაბამის დეპოზიტზე განათავსოს საპრივატიზებო ქონების ღირებულის 5%. თუ შემოთავაზებული ინვესტიციის მოცულობა აღემატება საპრივატიზებო ქონების ღირებულებას, აღნიშნული საბანკო გარანტია ან დეპოზიტზე განათავსებული თანხა უნდა შეესაბამებოდეს შემოთავაზებული ინვესტიციის მოცულობის 5%-ს. პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში აღნიშნული თანხა ირიცხება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში.

9. მთავრობის თავმჯდომარე უფლებამოსილია, ქონების კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი მიყიდვის თაობაზე გადაწყვეტილება მიიღოს ამ მუხლით გათვალისწინებული ღონისძიებების გარეშე.“.

7. მე-8 მუხლის:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქონების საპრივატიზებო საწყისი ფასის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესი“;

ბ) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ქონების საპრივატიზებო საწყის ფასს, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, განსაზღვრავს გამყიდველი.“.

გ) მე-2 და მე-6 პუნქტები ამოღებულ იქნეს;

დ) მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებისას მყიდველმა საბოლოო თანხა უნდა გადაიხადოს აუქციონის ჩატარებიდან არა უგვიანეს 30 კალენდარული დღისა, ხოლო თუ აუქციონი გამოცხადებულია პირობებით, გამყიდველი ადგენს ვადას, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 2 წელს.“.

ე) მე-8 პუნქტი ამოღებულ იქნეს;

ვ) მე-9 და მე-10 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9. ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზებისას მყიდველი თანხას იხდის ხელშეკრულების გაფორმებიდან მთავრობის თავმჯდომარის მიერ დადგენილ ვადაში, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 1 წელს.

10. თუ არ მოხდება აუქციონის ფორმით გამოტანილი ქონების პრივატიზება, მისი საწყისი ფასი შეიძლება შემცირდეს 50%-მდე, ხოლო თუ ქონება ამ ფასად გამოტანის შემდეგაც არ გაიყიდება, ეს ფასი შეიძლება კიდევ შემცირდეს.“.

ზ) მე-10 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 10¹ პუნქტი:

„10¹. თუ არ მოხდება 5-ჯერ აუქციონის ფორმით გამოტანილი ან ქონების პრივატიზების პროცესის 1 წლით გაგრძელების შემდეგ ქონების პრივატიზება, აღნიშნული ქონება შეიძლება გატანილ იქნეს აუქციონზე, სადაც შესაძლებელი იქნება, შეთავაზებულ იქნეს გამოცხადებულზე დაბალი ფასი. გამარჯვებულად გამოცხადდება ის პირი, რომელიც ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებს გამყიდველს.“.

თ) მე-11 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„11. ამ მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ ქონების პრივატიზების დათქმული თარიღიდან 7 სამუშაო დღის განმავლობაში სამინისტრო არ მიიღებს გადაწყვეტილებას ქონების პრივატიზების პროცესის შეწყვეტის თაობაზე, ქონების პრივატიზების პროცესი ითვლება 1 წლით გაგრძელებულად გამოცხადებული ფასითა და პირობებით და ამ მუხლის მე-12 და მე-13 პუნქტებით დადგენილი წესით, რის შესახებაც ინფორმაცია ქვეყნდება ამ კანონის შესაბამისად.“.

ი) მე-11 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 11¹ პუნქტი:

„11¹. ამ მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სამინისტროს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს მიიღოს გადაწყვეტილება ქონების პრივატიზების პროცესის 1 წლით გაგრძელების შეწყვეტის თაობაზე. გადაწყვეტილება ქონების პრივატიზების პროცესის შეწყვეტის შესახებ ქვეყნდება ამ კანონით დადგენილი წესით.“.

კ) მე-13 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„13. თუ ამ მუხლის მე-12 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში წარმოდგენილ იქნა სხვა პირის (პირების) განაცხადი, სამინისტრო ატარებს აუქციონს დადგენილი წესით.“.

8. მე-9 მუხლი ამოღებულ იქნეს;

9. მე-10 და მე-11 მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 10. ინფორმაცია საპრივატიზებო ქონების შესახებ

1. აუქციონის ფორმით საპრივატიზებო ქონების შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადგილობრივ პრესაში და განთავსდება სამინისტროს ინტერნეტ-გვერდზე. ამასთან, შეიძლება ინფორმაციის სხვა საშუალებების გამოყენებაც.

2. ინფორმაცია უნდა გამოქვეყნდეს აუქციონის ფორმით ქონების პრივატიზების დათქმულ თარიღამდე სულ ცოტა 30 კალენდარული დღით ადრე. სამინისტრო უფლებამოსილია გადაავადოს აუქციონის ჩატარება, რის შესახებაც ინფორმაცია ქვეყნდება ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესის შესაბამისად.

3. პრესაში, ინტერნეტ-გვერდზე და სხვა საინფორმაციო საშუალებებში გამოქვეყნებულ ცნობებში შეიტანება ზოგადი ინფორმაცია საპრივატიზებო ქონების შესახებ. სამინისტრო ქონებასთან დაკავშირებით, ვალდებულია, მყიდველს მოთხოვნის შემთხვევაში მიაწოდოს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც აქვს გასაყიდი ქონების შესახებ.

მუხლი 11. ქონების პრივატიზების შესახებ გარიგების გაფორმება

1. ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებისას გამყიდველისა და მყიდველის მიერ ხელმოწერილი აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი არის წერილობითი ხელშეკრულება. აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის ტიპურ ფორმას ამტკიცებს მინისტრი.

2. პირობებით გამოცხადებული აუქციონის შემთხვევაში ქონების პრივატიზებისას სამინისტროს ინიციატივით და მთავრობის თანხმობით შესაძლებელია გაფორმდეს დამატებითი წერილობითი ხელშეკრულება, რომელიც იდება აუქციონის ჩატარებიდან არა უგვიანეს 3 თვისა.

3. აუქციონში გამარჯვებული პირი აუქციონის ჩატარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში იხდის საბოლოო თანხას, პირობებით გამოცხადებული აუქციონის შემთხვევაში – აუქციონის პირობებით გათვალისწინებულ ვადაში. გამარჯვებულ პირს ბე ეთვლება ანგარიშწორებისას. საბოლოო თანხის სრულად გადახდის შემდეგ გამარჯვებულ პირზე გაიცემა საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა. თუ გამარჯვებული პირი დათქმულ ვადაში არ გადაიხდის საბოლოო თანხას, აუქციონის შედეგები უქმდება და გამარჯვებულ პირს ბე არ უბრუნდება.

4. გამარჯვებული პირის მიერ აუქციონში გამარჯვების ოქმზე ხელის მოწერაზე უარის თქმა ართმევს მას გამარჯვებულის სტატუსს. ასეთ შემთხვევაში პირს გადახდილი ბე არ უბრუნდება.

5. პირდაპირი მიყიდვის ფორმით ქონების პრივატიზებისას მყიდველსა და გამყიდველს შორის იდება შესაბამისი წერილობითი ხელშეკრულება. ხელშეკრულება იდება პირდაპირი მიყიდვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან არა უგვიანეს 3 თვისა.

6. ქონების პრივატიზებისას მყიდველს საკუთრების უფლება გადაეცემა თანხის მთლიანად გადახდის, საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემის და საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ. თუ მყიდველმა უნდა შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები, მას საკუთრების უფლება გადაეცემა ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პირობით, ხოლო საკუთრების დამადასტურებელი

დოკუმენტი გაიცემა თანხის მთლიანად გადახდის დადასტურებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.“.

10. მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ნორმატიული აქტით შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირები;“.

11. მე-14 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ქონება სასყიდლიანი უზუფრუქტის, ქირავნობის, იჯარის და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სარგებლობის სხვა ფორმებით გაიცემა კონკურსის ან აუქციონის წესით.“.

12. მე-16 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 16. პრივატიზების შესახებ გარიგებათა ბათილად ცნობა**
პრივატიზებასთან დაკავშირებულ სადაო და ბათილად ცნობის საკითხებს განიხილავს სასამართლო.“

13. მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტები ამოღებულ იქნეს;

მუხლი 2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ უზრუნველყონ ამ კანონით გათვალისწინებული ნორმატიული აქტების მიღება და ამ კანონის მოთხოვნებთან მოქმედი ნორმატიული აქტების შესაბამისობა.

მუხლი 3. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარე

ლევან ვარშალომიძე

ბათუმი,
2007 წლის
№